

ცამემაშულეს მოსავალი წაუხდებოდა სეტყვისაგან, საზოგადოება, მკოდნე პირების და თავის აგენტის დაფასებით, ზარალს უზღავს. ამ წინადად, ვაქცეთ ოცი დღიური ვენახის პატრონს წელიწადში ხუთი თუმანი შეაქვს საზღვეველ საზოგადოებაში. ხუთ წელიწადში რომ ერთხელ დაუსეტყვოს იმას ვენახი, გადახდილი ექნება ოცდახუთი თუმანი და საზოგადოებისაგან კი, დაფასების-და-გვარად, შეიძლება ორას თუმანზე მეტიც მიიღოს თავის ზარალისათვის.

ზემოხსენებულ საზღვეველ საზოგადოებას უფრო ხშირად კერძო პირები, ფულადი ხალხი შეადგენენ ხოლმე და, დიდ სარგებლობას ხდენენ, რადგან ასს მემამულეში, რომელთაც მამული შეუტანი ო საზღვეველად და რომელთაც მუდამ წელიწადს გადაჭრილ ფულს ახდენებენ, შეიძლება ორს ან სამს დაუსეტყვოს მელიწადში.

ამიტომაც სადაც კი თავიანი მემამულეები მოიპოვება, ამ გვარ საზღვეველ საზოგადოებას თვითონვე ადგენენ, ერთმანეთში აგროვებენ თანხას, ურთი-ერთ უზღავენ ზარალს და ამ სახით, რაც საზოგადოებას მოგება რჩება, რჩება ისევე მემამულეებს და არა გარეშე პირთ.

წელს, როგორც იწერებოდნენ, რამდენიმე სოფელი დასეტყვა ძახეთში და ასი-ათასი მანეთის მეტი ზარალი მისცა ვენახის მესატრონებსა. მითქმის მუდამ წელს ხდება ხოლმე ამითანა უბედურება და ერთი რამ საშუალება ვერ მოუფიქრიათ, რომ ეს მუდმივი ზარალი და უბედურება თავიდან აიცილონ.

სანატრელია, რომ იმისთანა მოთავე კაცები ამოჩნდებოდნენ ჩვენში, რომელნიც ითავედნენ ზემოხსენებულთა საზოგადოების შედგენას,

ნოსნობა—ანუ ჯიბითობა. ტფილისში 15 თუ 20 წელიწადია, რაც ეს თამაში გადავარდა, მაგრამ საქართველოს სოფლებში დღესაც შეჩვედებით კარგ მოჯირითეს.

ეს თამაშობა უფრო სოფლის დღეობაში, ხატობაში და ქორწილებში იმართება ხოლმე.

ძველანის ჯიბითობას იმდენად რცნობს ყველა, რომ დაწერილებით იმის აღწერა საქირო არ არის. მიტყვეთ მხილოდა, რომ ის თხოულობს ცოდნას ცხენოსნობისას, სიმარდეს, მოხერხებას, ღონეს და სიმამაცეს. ჯიბითის სროლა, ჰაერში იმის დაჭრა, როგორ უნდა მიუბრუნო ჯიბითი მოპირ-და-პირეს, როგორ უნდა გაექანო მისკენ არწივისებრ,—ყველა ეს თხოულობდა დიდ გამოცდილებას, რომ სხვა თვისებებზედ არა ეთქვათ.

ტფილისში ჯიბითი იმართებოდა ხოლმე: მთელეთობა, სამხრეთ ქალაქის კარების გარედ მართქალისაკენ და მთაწმინდობის ესლანდელს ბალავინის პროსპექტზე. სპეციალურ ალაგად კი ყველა ამ დროს გატარებდა თავის შაბლა იყო დანიშნული.

ყოველ გვარ მოსავლის საზღვეველად თუ არა, ვენახისათვის მანც. ამით დიდ სარგებლობას მოუტანენ, დიდ შეღავათს მისცემენ ჩვენს დაცემულ მეურნეობას და თითქმის გაღარიბებულ მიწის-მფლობელთა და მომკვდეთა.

დღიური

ტფილისის საგუბერნიო ციხეში ამჟამად სულ 270 ტუსალი იმყოფება; ამთგან 262 მამაკაცი და 7 ქალი; მეტების ციხეში დამწყვედებულია 224 კაცი, სულ ორივე ციხეში 494.

ბათუმის მაზრაში მოგზაურობის დროს, როგორც გაზ. „ბათუმის შურცელი“ იწერება, თ. ღონდუკაე-ძორსაკოეს ისე მოსწონებია იქ დაყენებული ბურის დრუჟინის შეხედულობა, ვარჯიშობა და საზოგადოდ სამხედრო სამსახური, რომ ამ დრუჟინის უფროსისათვის უთქვამს:

—მართვლები სამაგალითოდ შეიძლება ჩიითვალოს სამხედრო უწყებაში მოსამსახურე კაცებისთვის!

ბორჯომიდან გვწერენ, რომ წელს იმის ნახევარი ხალხიც არ მოსულა აქ საზაფხულოდ, რამდენიც შარშან იყო, ასე რომ ბევრი სახლები გაუქორავებელი დარჩა.

ამავე კორესპონდენტის სიტყვით. ბორჯომში წელს ძალიან გახშირებული ქურდობა გაჩნდა. სხვათა შორის ამ უკანასკნელ დღეებში ღენ. ბოგუშვილისათვის მოუპარავეთ სადგომიდან დღისით ოქროს საათი და ორი ათას ოთხასი მან.: ერთს ზ. ძ.—ძეს ღამე ფანჯარა ჩაუტყრიეს და ფული, ნავთული, თეთრეთი და სხვა, რც კი რომ გაჩნდა, სულ წაიღესო ასე, რომ მტერის საწმენდ ტალოც კი აღარ დაუტოვებიათ; მხპარონიანის აფთიაქსაც სწვივან, მაგრამ პრო-

ამ დღესასწაულებზედ იკრიბებოდნენ თავად-აზნაურთ ახალ-გაზდები მართლისა და ძახეთისა ხავერდის ქულო ჯგობით და მდიდრულად გაწყობილის ცხენის იარაღები. ამ დროს გატარებაში ტფილისში მშაღიანების ბეგებც და ალაღარებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ტაძრის დღესასწაულებზე, ეკლესიებზედ და მონასტრებზედ, მუდამ აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ამავე დღესასწაულებზედ იკრიბებოდნენ განთქმული მოქალაქენი. მაგრამ ჭადაობა ერთობ ძველი ვარჯიშობაა. ჩვენს ზღაპრებში ნათქვამია, რომ კაცები დევებთან ჭიდაობდნენო. მეტძობანი მეფერი, წინამძღომი ჯარისა, გამოიწვევდნენ ერთმანეთს, დადებოდნენ ერთმანეთის პირს-პირ და იბრძოდნენ, რომ ამ გვარად დაცვათ ჯარის სიცოცხლე. მაგრამ აქ ხშირად, როგორც ამბობენ ზღაპრები, სიყალბეც ხდებოდა: ხშირად მეფის სამოსელით გამოდიოდა რომელიმე ქვეშევრდომი მეფისა კარგი მოქალაქე და ეს სწყვეტდა სამეფოს ბედ-იღბალს. საზოგადოდ ამ ბრძოლას, კი-

ვიზორს დროზედ შეუტყვი და გაქცულან.

აბათუმანშიც წელს, როგორც გვაცნობდნენ, კელავინდელზე ნაკლები მეზაფხულე ხალხი მოგროვლა და ამის გამო ვინც არიან, ძალიან მოწყენით ცხოვრობენო.

სალალის გზისაკენ ქურდობის გახშირებას გვწერენ. მითქმის მუდამ სკარცვენ და ხშირად იარაღითაც სჭრიან მოგზაურებს განსაკუთრებით ახმამურის სტანციის ახლო-მახლოვო. იქაურ მუდანილის თათრებს აბრალდენ ამ გვარ საქმეების ჩადენას.

ბაქოს ვახეთში „ძასპიში“ იწერებოდა, ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ბაქო-ტფილისის რკინის გზა ამ მომავალ აგვისტოს პირველიდამ დაწყებს მოქმედებასო. შიველ გვარ საქონელს გადაზიდვენ ამ გზითო. გარდა ნავთისა.

მთაისიდან და საზოგადოდ იმერეთის მხრიდან დიდ სიხვევას და გოლვას გვწერენ. მთ რამდენ მე დღეს განმავლობაში არ გვეწვია კიდევ ზეცის მანანა-წვიმაო, შენს მტერს, როგორც თითქმის ყველა გვარი ნამუშევარი წაგვხდებო, გაგვიხმებო.

ტფილისის შესაკრებელ კლუბში (სობრანიეში) ყოველ სამშაბათობით საოჯახო საღამოები ხოლმე; უკრეს იგროპული მუზიკა და საზანდარი თავის დამქმობით; ტანცაობა და ლეკურო. ამ სამშაბათს ამას გარდა ქართული (გურული) მომღერლები იყენებ ხუთ-ხუთი კაცი. მას ახალი შემოღება კარგია, თუ კარგა ხელი შეუწყეს და რამდენიმე კაცს მიუმატეს. ჩვენი ძალაქის ხალხი ძალიან დაშორებულ-

დაობას აქვს მთელი წესდება, თავისი კანონები, რომელიც წმინდად და ბეჯითად უნდა აღსრულდეს ფალავანთაგან.

ხალხს უყვარს ძალითა და სიმარადთ განთქმული ფალავანი. დგმიდამდგმზედ ვად დის ჩვენში სახელი განთქმულის ქართულ-მოკდავისა ჩატოსი, რომელიც ჩვენ პაპების დროს ჭიდაობდა.

ტფილისის ცხოვრებათთვის საყვარელ თავ-შესაქცევს შეადგენდა მუშტის-კრავი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი მშვიდობიანი მოქალაქენიც, ვაჭრებიც და ხელოსანი ხალხიც. ამას გარდა, კრივში ხშირად ისეთი პირნიც ერეოდნენ, რომელთაც შემდგეში ომების დროს დიდი გმირების სახელი დაიმსახურეს. როდესაც ომიდამ ბრუნდებოდნენ თავის სამშობლო ტფილისში ჩინებითა და ორდენებით, არ გაუშვებდნენ შეშთხვევას დასწრებოდნენ მუშტის-კრივზე. ძანკალი აიტანდა ხოლმე მათ, როდესაც კრივი გაცხარდებოდა და ერთი ხროვა მოწინააღმდეგეთა

ლია ყოველსავე, რაც კი ქალაქში შემო არტყვას, მუშტის-კრივს და აჩევეთ, მისი სიტყვით. მისი სახალხო ქართული სიმღერის სილამაზე და სიმშვენიერე. შიველ განათლებულ ქვეყანაში სახალხო სიმღერებს და ხმებს სწავლობენ, ნოტებზე სწევენ, დიდ გამოჩენილი ოჯახებში მღერაან და უკერენ. ამ ბევრ ვეარხ სარგებლობა მოაქვს, იმ სხვათა შორის ხალხს ახლოვებს საზოგადოებასა. სასურველია, რომ გვარი სახალხო მომღერლები ავარჯიშონ და ზაფხულობით მანც დადერონ. ნახავთ ბოლოს როგორ შეგვიერთო და შევიყვარდეთ.

ძასპიდან გვწერენ: „ამას წინადაძასპი შე გაჰყვანდათ შარა-გზა, რომელსადაც, გარდა კასპელებისა, მუშაობდ ბევრი სხვა სოფლის ხალხიც. ამ ხალხთა ეს აღდგენ ჩაფრები (ოსები). რასაკერაველია, კასპელებს, უმისოთა დამეულებს, შარშანდელის მოუსალოობის გამო, ვინცლებოდათ ოსების შენახვა. მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება იმათ სიღარიბეს! რა ექნა საწყალებს, როგორ გარდარჩენილთა ჩაფრების მწარე მათრახებს? მთ ებადა რამე ხომ კარგი, და თუ არა, ვაღიუნდა აელო და მიეტანა სარჩო გაუმადლარ ჩაფრებისათვის. ძაღვე კარგ თუ დასჯერდებოდნენ ჩაფრები მიტანილს:—ეს რატომ კარგი ღენო არისო—და მათრახების ცემით გამოისტუმრებდნენ გლენს სხვა ღენის მოსატანად.


ზნა გაკეთდა. პატარა ხანს კასპელებმა შეისვენეს, მაგრამ ისევე მალე სხვა უბედურებამ ამოჰყუ თავი.

ძასპიდან 6—9 ვერსტზედ სცხოვრობდნენ რველ-შალეოი ოსები. მას ოსები წინადაც ქურდობდნენ ძასპი, მაგრამ ეს ქურდობა ისე არ იყო გავ-

მუშტის წინააღმდეგ გამოვიღოდა ყოჩაღი მოკრივე, რომელიც ყოველ დარტყმაზედ აწვედა მოწინააღმდეგეს და მარდად იკაფებდა გზას.

სიონის სობორო ჰყოფდა ქალაქში ორ დიდ უბნად: ჩრდილოეთის და სამხრეთისა. ჩრდილოეთი მხარე მულაბრესა, ჩუღურეთი, ძუკია, ბარცთუბანი, მთაწმინდა და თვით ქალაქი სიონიდან მოყოლილი შეთხინამდის—მთელი ეს უბანი იწოდებოდა მუშტის-კრივით, რომლის მცხოვრებნი შედგენდნენ მუშტის-კრივში ერთს დასამხრეთით კა სიონისა და შეთხინის მუთა ხაზისა: მაიდანე, სელიდათი, ხოფუხი, შეც-სოფელი და ავლაბრის ნაწილი შეადგენდნენ ქვემო-უბანს. ამბობენ, უწინდელ დროში ეს ორი მხარე თანასწორი იყო, ძალა ორთავე უბანში თანასწორი იყო, მაგრამ ჩვენს საუკუნეში, როდესაც ჩრდილოეთ მხარეს გაიზარდა ქალაქი, მთლ-უბანი მუდამ იმარჯვებდა.

მანსაკუთრებით განთქმულნი იყვნენ მუშტის-კრივში კუკიელები და მთაწმინდელები. ძვემოლ-უბანში განთქმული იყვნენ ავლაბრელები და



**ბ. ნიკოლოზ ბასარიონის-ძეს ღმ-
ლაპირიძის პასუხად.**

(დასასრული *)

ძვევით, თქვენ ამბობთ, რომ მე აღმდგარეიყო თქვენს წინააღმდეგ მტრობით, რადგან თქვენ არ მომეცით ვითომ იმდენი ფული ბანკიდგან სესხად, რამდენსაც მე ვითხოვდი, რომ მე ვითომც ამიტომ ვარ თქვენი წინააღმდეგი. ეს უხერხული მოუფიქრებელი იერიში თქვენი მაგონებს ზარმაცსა და ბინძურს მოწაფეს, რომელიც ჩვეულებრივ თავის დაუდევრობას და სიზარმაცეს აბრალებს მასწავლებლებს და ამბობს, რომ მასწავლებლები ტყუილ-უბრალოდ ემტერებიან მას. რა კავშირი აქვს თავდაზნაურთა წინამძღოლის არჩევის საქმეს იმ სესხთან, რომელიც მე გამოვიტანე ბანკიდგან? თქვენ წააგლეჯთ ხელი ხაფისს, მაგრამ იგი ვერ უიხსნით.

რატომ რყენით თქვენ ქუშმ რიტეზას: თქვენ სწერთ, რომ ინიციატივა მუთაისში ჩემგან სახლის შექმნისა და მისთვის ბანკში მამულის დაგირაფებისა მეკუთვნის მე. მე კი ვამტკიცებ, რომ ეს ინიციატივა გეკუთვნის თქვენ. მანა თქვენ არ მიჩივით პარველად შემეძინა მე სახლი მუთაისში, რისთვისაც მომეცით რჩევა დამგირაფებინა ორპირის მამული? მანა თქვენ არ იყავით, რომ ამისთანა რჩევით ილაჯს მიწყვედით თითქმის ყოველ დღეს და ჩემ კითხვებზე (კლუბში იყო მახსოვს): რატომ გინდათ თქვენ ასე, რომ მე სახლი შევიძინო მეტეი მუთაისში, თქვენ არ იყავით, რომ თვალების პარპალით და თქვენის ჩვეულებრივის ღიმილით მომიგეთ, რომ სახლის შექმნა მუთაისში დამაკავებს მე მუთაისში და რომ ამ მხრით სა-

*) „დროება“, № 141.

დროს; შეიქნებოდა ახალი ძაღლები და ახალი გაწერ-გამოწერა და მოსყიდვა გამოჩენილ მოკრივეებისა. მუდამ შურში და უსამოვნებაში იყვენ ერთმანეთში ეს უხნელები. რამდენიმე მაგალითი: მართის კრივის შემდეგ ზემო-უბნელს ბ—ს, მოქალაქეს და ფრიად პატივცემულ ვაჭარს ლაპარაკი მოუვიდა ერთ მისებრ საპატრო ვაჭართანვე ქვემო-უბნისა ბ—თან იმაზედ, თუ რომელ უბანს დარჩა გამარჯვება. ლაპარაკი ერთობ გაცხარდა და ბოლოს ბ—მ კიდევ უთავაზა ბ—ს; მაგრამ არც ეს ბ. ჩამორჩა: — რკინის არშინით წამოსხარა ბ—ს თვალს. საქმემ სასამართლომდის მიიღწია. მართა ქვემო-უბნელმა ქალი მოიყვანა ზემო-უბნიდან. ცოტა ხანს შემდეგ ზემო-უბნელებმა შესანიშნავად დაამარცხეს კრივში ქვემო-უბნელები. შეურაცხყოფილმა ქარმა აიყვანა და გაისტუმრა ცოლი მშობლების სახლში. მართი ვაჭარი ჩაისა და შაქრისა, ჯერ უთუოდ დაეკითხებოდა მუშტარს და, თუ წინააღმდეგი უბნისა იყო, არას მიჰყიდა. შანგარიში ხალხი ესწრებოდა

ზოგადობას მუდამ ეყოლება იმისთანა სასარგებლო წევრს, როგორც მე ვარ. საიდგან იცით, რომ თუ სესხი ვერ მივიღე იმდენი, რამდენსაც ვითხოვდი, ამას თქვენ ვაწერთ? რატომ შეგიდგენიათ მაგრე ძალადი აზრი თქვენს თავზე? თქვენ ამით გინდათ დაანახოთ საზოგადოებას, რომ სესხის მიცემის საქმეს ბანკიდგან მხოლოდ თქვენ მართავთ, რომ ყოველისფერი თქვენზედ არის დამოკიდებული. ის კი არაა, თუ მე რომ საქმის მსვლელობა ეცი ბანკში, დარწმუნებული ვარ, რომ სესხის რაოდენობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ თქვენზედ, ამაში მონაწილეობას იღებენ კიდევ ორი დირექტორი და ერთი წევრი ზედამხედველის კომიტეტისა. თუ ბანკმა ვერ მომცა, რამდენიც მსურდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო თქვენ კი არა მთელმა კოლეგებმა ვერ დაინახა შესაძლებელად დაეკმაყოფილებინა ჩემი თხოვნა. მაშასადამე თუ მე ამის გამო ვჯავრობ, უნდა ვჯავრობდე, უნდა ვემტერებოდე ყველა იმ პირებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სესხის მოცემის გადაწყვეტაში. აბა გითხრან იმ პირებმა თქვენ, თუ სესხის მოცემის შემდეგ ჩემი დამოკიდებულება მათთან შეიცვალა რაჟე სახით, მამომიჩინია მე მათ შესახებ რაჟეში მტერობა და ძვირი მითქვამს განა სადმე ვისმესთვის ან უკმაყოფილება მათზედ? მე ვერ ამ პირებზედ კარგის მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. ბანკის გამგეობის მოლაპარაკების შემდეგ შესახებ ჩემის სესხისა, განა თქვენ თვითონ არ მეუბნებოდით, რომ თქვენ პირად ცდილობდით მოეცათ ჩემთვის სესხად სამი ათასი მანეთი, მაგრამ დანარჩენი წევრები არ დათანხმდნენ. მე თქვენ დაგიჯერეთ მაშინ, მითომ რომ დარწმუნებული ვიყავი თქვენ რომ გასურდათ, სახლი

თურმე მუდამ კრივზე. ჩვენი დროის მოხუცთა სიტყვით, მრმოლოვი მეტი მოყვარე იყო კრივისა და ერთხელ თვით მაყდანზევე შეუშკო გული მენდლით შესანიშნავ მოკრივეს ატლი ბიტლის, რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. თავ. მორონცოვიც კენიანთი ხშირად დასწრებიან მუშტის-კრივებზედ. 1852 წ., ყველიერში, ავლაბრის სომეხთ სასაფლაოსთან რამდენიმე დღე ზედი-ზედ გაგრძელდა კრივი. ღა ბოლოს, კვრ.ს, გაცხარებული შეტაკების შემდეგ, ქვემო-უბნელები უკუ-იქცნენ და ზემო-უბნელები უკან დაედევნენ. ასე გამოირეკეს ავლაბრის ხილამდე. დევნილი მოსლემინები თავს შევილიდნენ მგზითებში, მაგრამ მდევნელნი აქაც არ მოყვნენ, მაშინ კი თათრებმა ხანჯლები იპყრეს ხელთ და ესლამდევნელნი დევნულად შეიქნენ — გარემოება შეიცვალა. შეიქნა საშინელი აფურისა და ქვების სროლა. ბ. მოსარჩელებულ ყაზხის რუსებს და პოლიციელებსაც ბევრი მოხდათ და იძულებული შეიქმნენ უკუ ქცევილიყვნენ. შეიქნა ცარცვა და გლეჯა.

შემეძინა მუთაისში და ამდენი მონაწილეთა დაფერხინეთ საბუღალროდ მუთაისში და უფრო თქვენგან დაელოებული თქვენ კულად გავცხადეთ. მე ასე-ლაც გული დაჯერებული მაქვს, რომ თქვენ პირად გინდოდათ მოგეცათ ჩემთვის დიდი სესხი. მაგრამ დღე ნუ დაიჯერებენ, რასაც ვამბობ, დღე იფიქრონ, რომ მე თქვენ გემტერებოთ ნათხონი სესხის მოუცემლობისათვის. რითი შეგიძლიათ ასნათ თქვენ ის გარემოება, რომ თქვენი მოქმედება აღეოგებს ბევრს სხვასაც? რატომ არის, რომ ავერ ათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენში ყოველი პატიოსანი და თავიანი კაცი გიწევს თქვენ ბრძოლას და ჩრქვა გაცხებს საქვეყნოდ ჩემი ხმა თქვენს წინააღმდეგ დიდი ხანია დაცხრა. მაგრამ, აბა, უყურეთ, რა იწერებოდა ჩემს შემდეგ და ან რა იწერება ახლაც. ნუ თუ ყველანი ჩემსაგან ბანკის მოვალენი არიან, რომელთაც ნათხოვი სესხი არ მიუღიათ?!

მე თქვენ მეტს აღარას გეუბნებით. დღე გონიერმა, პატიოსანმა კაცებმა, რომელთა აზრიც ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი ყოფილა, გავგსაჯონ ჩვენ, დღე იმათ წარმოსთქვან ჩვენზედ თავიანთი პირუთნებელი განაჩენი და მე დავემორჩილები მას, — გირჩევთ თქვენც დამორჩილოთ, ნ. ბ. ლოლობერიძე.

ბოლოს მოგახსენებთ შემდეგს: თქვენ აღმოგიჩინათ საზოგადოებამ ბანკის მმართველად და მოგანდოთ მთლად თავის სამკვიდრებელი. მაშ საზოგადოებამ აღმოგიჩინა თქვენ განუზომელი ნდობა. ამიტომ იმას უფლება აქვს მოგთხოვოს თქვენ პატიოსანი და პირ-და-პირი მოქმედება. თქვენ უნდა სცხოვრებდეთ საზოგადოებრივის საქმის სასარგებლოდ, უნდა იღვწოდეთ იმის კეთილად წაყვანისა-

სიონის ქუჩის ბოლოს იყო სახელმწიფო აფთიაკი, რომელიც ერთიან მიღწევს და მიწასთან გაასწორეს. რამდენიმე კაცი მოკვდა ამ დროს და აუარებელი დაშავდა და დამახინჯდა. მსეთი იყო ხშირად, თითქმის მუდამ შედეგი ამ კრივებისა. ამ დაშავებულთა თუ დაჭრილთა მუდამ შევლას აძლევდნენ მოთავენი, წინამძღოლნი დასისა. ამ გვარ შემთხვევებში განთქმული იყო უხვობით თავ. პრჩილ მუხრან-ბატონი გამოჩენილი დაწდიმანდი იმ დროებისა. იქამდის მიიღწევდა მასი უხვობა და დიდ-სულობა, რომ ხშირად მოწინააღმდეგე დასის საუკეთესო მოკრივეთაც აძლევდა საჩუქარს. მაგალითად ერთხელ დაასაჩუქრა მან თათარი ქუნძო, და სომეხი ლოხოზი — საუკეთესო მოკრივენი ქვემო-უბნისა უკანასკნელ ხანებში. ბავილ მე-60-წლების დასაწყისში მუშტის-კრივი ტფალისში სრულებით აღკრძალულ იქმნა.

(დასასრული შემდეგში)



თვის, როგორც სახეც უნდა მიიღოს ამ საქმეში. თქვენ უნდა ხელმძღვანელოდეთ არა პირადს სარგებლობით და ანგარიშით, არამედ საზოგადოების საჭიროებით და დროის მოთხოვნით, — თქვენ პირველი მთლად უნდა დაუმორჩილოთ მეორეს. არა ინტრიგებითა და ბნელ ქვეშ-ქვეშა საშუალებით უნდა იკვლიდეთ თქვენ გზას, არამედ პატიოსანის, და პირ-უთნებელის მოქმედებით. შფოთსა და ინტრიგას კი არ უნდა აჩენდეთ თქვენ საზოგადოებაში, არამედ მშვიდობას, სიყვარულსა და მეგობრობას. ბანკი კი არ უნდა გემსახუროდეს თქვენ, რომ თქვენ თქვენი პირადი ეგოისტური მიზანი გაიყვანოთ; არა თქვენ მთლად უნდა შესწიროთ თქვენი თავი ბანკის საქმეს, მის ინტერესსა და მის სარგებლობას. ზედმეტად დასაყრდენად უნდა ემსახუროდეთ და მით მღვრიე წყალში თევზს კი არ უნდა იჭერდეთ, არამედ იმას უნდა მეცადინობდეთ, რომ ძალა დაუმორჩილოთ საზოგადოების გონიერს და პატიოსანს მისწრაფებას. აღასრულეთ პატიოსანად ყოველი მოქალაქობრივი მოვალეობა, თქვენი და მაშინ გარწმუნებთ, ვეღარ გაიგონებთ საზოგადოებისაგან წყევასა და უკადრის სიტყვას. მაშინ უკეთესი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა შევიერთდება თქვენ და იმოქმედებს თქვენთან ხელი-ხელს გაყრილი ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ და სასიკეთოდ. მანამ კი ვერა-ერთარი თქვენი სტატია გაზეთში, ჩემს თვალში მაინც, ვერ მოგვრეცხა თქვენი იმ ლაქს, რომელიც ასე თვალ-საჩინოდ მოჩანს თქვენს ცხოვრებაში და რომელიც არ შეიძლება არ შენიშნოს პატიოსანის და მართლის რწმუნების მექონმა კაცმა.

ამაზედ მეტი ნათელია, ნათელია! წამოიძახა მომკვდავმა ბიოტემ. მ. თხოვნა მომკვდავის ბიოტესი, რომელიც უკანასკნელს წუთამდის იღწვოდა თავის სამშობლო ბერძანის განათლებისათვის, იყო ქვეშაბრტყად ლაღდება არა მარტო ბიოტესი, არამედ მთელის კაცობრიობისა. დიღ, უფრო ბევრი ნათელი, უფრო ბევრი ქვეშაბრტყება, უმეტესი სამართლიანობა, აი გოდება ეხლანდელის ცივილიზაციისა.

თქვენც ათხოვეთ ყური ამ გოდებას, ნ. ბ. ლოლობერიძე! თქვენ ათხოვეთ ჩემგან, რომ გიჩვენოთ ყოველი უკანონო მოქმედება, რომელსაც თქვენ ჩადიხართ ბანკის საქმეების შესახებ, ნუ მიჩქარით ამ ხანად. მერწმუნეთ იქაც კული სანებევზედ გაქვსთ. მოვა დრო, და ეს დრო არც ასე შორს არის, როდესაც ამ საქმის შესახებაც გამოვლ თქვენს წინააღმდეგ საზოგადოების წინაშე.

P. S. თავად აღმასხან ნიყარაძეს კი მე პასუხს არ გავცემ, ვიცი, რომ „შრომაში“ მისი ხელმოწერით დაბეჭდილი სტატია, რომელიც ჩემთვის უძღვნია, მისი დაწერილი არ არის,

მიტომ რომ მან წერა არ იცის. ხოლო მის მაგიერ პასუხს სხვას გავსცემ, ამის არც სურვილი მაქვს და არც დრო. ნუ ამოფარებია კულისებს, ვინც ეგ სტატია დაწერა, გამოვიდეს აქეთ, რომ ყველამ დინახოს და მაშინ ის მიიღებს ჩემგან შესაფერის პასუხს. პასუხს არ ვაძლევ კიდევ მათ უმეტეს, რომ ის სარგებლობს ხოლომე მით, რომ წერა-კითხვის უმეტესი ბრძანდება და ჩვეულება აქვს უარ-ჰყოს შემდეგ ის, რაც მისი სახელით დათხოვნილი იწერება ხოლომე. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაშიაც ის უარ-ჰყოს მსგავს ხელ-მოწერით დაბეჭდილ სტატიას „შრომაში“, ისე, როგორც უარი სთქვა მისგან გაგზავნილ ტელეგრამაზედ თ. სიმონ წერეთელთან. ამიტომ მასთან გამოძახებაზედ ხელს ვიღებ, რომ მერე სამწუხაროდ არ დიმიჩხეს ტყუილ-უბრალო დროისა და შრომის დაკარგვა.

მისიელ გავიძე.

ბანსხალეზანი

სოფელ მარტყოფში მიეცემა საზაფხულო სახლები სამი ოთახით თავის კუხნით ან ორი ოთახი აკრეთვე კუხნით ეზოთა პირველს ენკენის თვეში. შასის მორიგება შეიძლება მღვდელ პეტრე შიტიკოვთან. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობის საგან

ბილინის ძალაჰის გაგვირგა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც პსურს იცისროს ქვეთიკრისა და მიწის მუშაობა ახლად გასაკეთებელის ვერის ხილისა; შეუძლიან შეიტანოს განცხადება ძალაჰის გამგეობაში (უბრადაში) ამა 1882 წლის 1 აგვისტომდინ.

პროექტი და დაწვრილებითი პრობები ამ მუშაობისა მსურველს შეუძლიან ნახოს უბრაღის კანცელარიაში მუდამ დღე დილის 9 საათილამ ნაშუაღღევის 1 საათამდინ. (3—2)

კ. ნიკოლოზის-მე იოსელიანი იღებს თვისს ჰანსიონში ემაწვილებს პირობით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ადრესი: მისილოვის ქუჩა № 81. (5—3)

გამღვე დღიურად და თვეობით იაფათ მეტლიროვან ოთახებს, სახელად

„ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—12)

ინგლისის ძალაჰიაში ახლად მიღებული დიდ ძალი ჩაიპირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იპიღება: ჰარესანა 40 კაპ. დაწეებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ.—დამ: პადნოსები 5 კ.—დამ, ჰურაბა და ალბომები ნახეგარ ფასად და სხე. (100—95)

ძარტველი სტუდენტი
მამას გაავითილავს.
ადრესი — შავერდოვის აგენსტეოში.

ვიღებ მოსაქსოვად სახლის ფანჯრებისთვის და ბალკონებისთვის

შტორებს—ფარღებს

ზედ წარწერით და მხატვრობით—ისე, როგორც პატრონი (საკაწმხიკი) ისურვებს. აკრეთვე ვიღებ გასაკეთებლად ოთახებისთვის

შირეებს

მსურველთ მეუძლიანთ მომძარტონ ფრანკების ქუჩაზე, რაელების სალოცავის მახლობლად სახლი № 22. (5—3)

გილიოგრაფიული განცხადება.

ბუნების ძარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმეტესს კლასში სასამარებელი, შედგენილი ი. გოკუბაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისეიღება გრატიუროვის წიგნის ძალაჰიაში, კუკის სიღის ყურთან. ფასი თხუთმეტი შური. სასწავლებლებს და კერძო შირებს, რომელნიც იყიდინს ხაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ასე მომეტეულსა, დათმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შურად ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შურად. ყდისათვის უნდა დაეპატოს სამი შური.

ძარტა საძარტველონი, მეორე შევეებული გამოცემა; ისეიღება იმავე ძალაჰიაში. ფასი სამი აბანი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, ვარტა მიეცემა თერთმეტ შურად, ოც ეგზემპლიარის მიეღველს—ათს შურად.

ფ ა ბ რ ი კ ა

ქათაგუსთა ვარშავაში

Братья Бухъ въ Варшавѣ

ფურცლებისა, გავთულავისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

ახალი ვერცხლისა (მელქიორისა, ალფენდისა) მივაქცევ თქვენს რადლებას ფურცლებზე, მათეულებზე და სუფრისა მოწყობილობაზე (ბარზე): კოვებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ჩებზე (ბლუდებზე), სამოფრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყვადნებზე, სუფრის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა შინაშურს და საშეღველი საგნებზე: კანკელებზე ბარძ-მ-ფეშუმზე, საცეცხლოურზე, შანღვეზე, და სხვათა საეკლესიო ნიეთებზედ. გარდა ამებისა არის კიდევ სხვა სახლის მშენიერი მოწყობილობის ლითსტრები, ხილის და შამფანსკისათვის ვაზები, ეტაყერკები, სარკები, რები, ბაკლები, სანიტრები და სხე. ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მქილო რიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ ფილებებში:

- 1) ჰეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 შაზანის სობოროს პირ-ძარ,
- 2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტეივის სახლებში,
- 3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
- 4) ნაიხი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30. პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქათა მსურველთ გავთულავით.

(12—12)